MES 4 20 0000662193

04/08/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 4 აგვისტოს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა, საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

EQE VET Authorization is inviting you to a scheduled Zoom meeting.
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89750423823
Meeting ID: 897 5042 3823

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (საბჭოს მდივანი);
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას „ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ნოდარ მამინაიშვილი - ა(ა)იპ არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ „მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
კოლეჯის დირექტორი - ნოდარ ხარაზიშვილი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - მამუკა გოგელია

საბჭოს სხდომა 4 აგვისტოს დაიწყო 15:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად სხდომის აუდიო ჩანაწერი მზადდებოდა და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1.სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N648995 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N 649004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N648995 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

წარმდგენი: ნანი დალაქიშვილი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს განუმარტა, რომ მითითებულ გადაწყვეტილებაში „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის კოდი არის 0611, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით უნდა იყოს - 0211, რაც დასკვნაში სწორად იყო ასახული. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N648995 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N648995 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული ინფორმაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე შესაბამისად,
შევიდეს ცვლილება „სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N648995 გადაწყვეტილებაში“ (**დანართი 1**).

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N 649004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

წარმდგენი: ნანი დალაქიშვილი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს განუმარტა, რომ მითითებულ გადაწყვეტილებაში „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის კოდი არის 0612, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით უნდა იყოს - 0812, რაც დასკვნაში სწორად იყო ასახული. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N 649004 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N 649004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული ინფორმაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე შესაბამისად,
შევიდეს ცვლილება "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ 2020 წლის 31 ივლისის N 649004 გადაწყვეტილებაში" **(დანართი 2).**

საბჭოს სხდომა დასრულდა 15 : 10 წუთზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ინდუსტრიული დიზაინის შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115